

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის

**ოქმი N3**

ქ. ვანი თავისუფლების N 65

23 მაისი 2019 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები :** კობა ტოხვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, თენგიზ დვალიშვილი, ტარიელ ბარამიძე, ივანე კორძაძე, მერაბ ხურციძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, თამარ შენგელია.

*სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.*

*/დანართი N1/*

**მოწვეული პირი:** ა(ა) იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანების“ სამსახურის უფროსი - **გვანცა სიგუა**

ქ.ვანის საგანმანათლებლო სამსახურის უფროსი - **ივანე კორძაძე**.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **კობა ტოხვაძე (კომისიის თავმჯდომარე)**

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

**დღის წესრიგი**

1. ა(ა) იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანების“ სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს: გვანცა სიგუა

2. განათლების სფეროში 2019 წელში დაგეგმილი სიახლეების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხს: ივანე კორძაძე

**გადაწყვიტეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

## *მოხმინეს :*

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გვანცა სიგუამ კომისიის წევრებს გააცნო ა(ა) იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანების“ სამსახურის ანგარიში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2018-2019 სასწავლო-სააღმზრდელო წელი, საკმაოდ ნაყოფიერი იყო ვანის მუნიციპალიტეტის „საბავშვო ბაღების გაერთიანებაში“.

2018 წლის ოქტომბრისა და ნოემბრის თვეში 24-თვე საბავშვო ბაღის ყველა ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა თემატური პროექტები, ასევე ყველა ს/ბაღში მხიარულად აღნიშნეს ბარაქიანი შემოდგომის გვირგვინი - „მხიარული რთველი“.

2018 წლის დეკემბრის ბოლოს ჩატარდა საახალწლო მეჯლისები და ყველა აღსაზრდელს საბავშვო ბაღების გაერთიანებისაგან გადაეცათ საახალწლო საჩუქრები.

მიმდინარე წლის 3 მარტს დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება საზეიმო ფორმატში აღნიშნა ყველა ს/ბაღში. ზეიმის ბოლოს ჩვენმა პატარებმა თავიანთი პაწია ხელებით დამზადებული საჩუქრები გადასცენ თავიანთ დედიკოებს. ასევე საზეიმოდ აღნიშნა 14 აპრილი - „დედაენის დღე“, 22 აპრილი - „დედამიწის დღე“ და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული“.

1 ივნისს ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით ყველა ს/ბაღის ეზოში და ასევე ვანის ცენტრში გაიმართა აღნიშნული დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

2 ივნისს ვანელობის დღესასწაულზე ს/ბაღის აღსაზრდელები მიიღებენ საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობას.

და ბოლოს, ვანის საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ მიმდინარე წლის 14 ივნისს, ლ. გერსამიას სახ. კულტურის ცენტრში გაიმართება სასკოლო მზაობის აღსაზრდელთა მონაწილეობით ღონისძიება - მიუზიკლი „ცოდნის გასაღები“, რის შედეგადაც გამოცხადდება საზაფხულო არდადეგები.

კომისიის წევრებმა მოიწონეს მომხსენებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია და მადლობა გადაუხადეს ქალბატონ გვანცას.

*/დანართი N1/*

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე კორძაძემ ისაუბრა განათლების სფეროში 2019 წელში დაგეგმილი სიახლეების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საპენსიო ასაკის პრაქტიკოს მასწავლებელს სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული ჯილდოს მიღების სურვილის გამოხატვის შესაძლებლობა 2019 წლის განმავლობაში რამდენიმე შემთხვევაში ექნება:

თუ მასწავლებელს არ აქვს მინიმალური კომპეტენციის დადასტურების სურვილი, ამის შესახებ უნდა განაცხადოს 2019 წლის მაისის ბოლომდე;

თუ მასწავლებელი ვერ დააკმაყოფილებს მინიმალურ კომპეტენციას , ჯილდოს მიღების სურვილის შესახებ უნდა აცნობოს განათლების სამინისტროს 2019 წლის ბოლომდე;

სახელწიფო ჯილდოს გაცემა დაიწყება არაუგვიანეს 2019 წლის სექტემბრისა;

საპენსიო ასაკის პრაქტიკოს პედაგოგებს ორჯერ ეძლევა შესაძლებლობა, დაადასტურონ მინიმალური კომპეტენცია და აიმაღლონ სტატუსი. ორივე გამოცდის წარუმატებლად ჩაბარების შემთხვევაშიც კი მათ შეეძლებათ ისარგებლონ მინიჭებული პრივილეგიით და მიიღონ სახელმწიფო ჯილდო 2019 წლის შემოდგომამდე.

ამ ეტაპზე ვანის სკოლებიდან წასვლის სურვილი გამოთქვა ასამდე პედაგოგმა.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურას მიმდინარე წლის ვანის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარებაზე დაიხარჯა 640 ათასი ლარი. პრიორიტეტებია სახურავი, სველი წერტილები, ცენტრალური გათბობა.

კომისიის წევრებმა მოიწონეს მომხსენებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია და მადლობა გადაუხადეს მომხსენებელს.

*/დანართი N1/*

საკითხის ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კობა ტოხვაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ  
საქმეთა კომისიის თავმჯდომარე